ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური

წერილის ნომერი: **06-1422264599**
თარიღი: **22/09/2022**

ადრესატი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ

გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, დასახლება მეჯინისწყალში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.09.877) განაშენიანების დეტალური გეგმისა და ამავე გეგმის მიხედვით ერთ-ერთ საპროექტო კვარტალში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის მეჯინისწყალის განაშენიანების გეგმასა და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას მაღალმთანი აჭარის დამეწყრილი და ეროზიული რეგიონებიდან ეკომიგრანტი ოჯახებისათვის ახორციელებს შპს „ნიუ სითი დეველოფმენთი"; დამკვეთი - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გამომდინარე იქედან, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა მდებარეობს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მასზე დასაშვებია ისეთი შენობა-ნაგებობების და სხვა ობიექტების განთავსება რომელთა მაქსიმალური სიმაღლის ნიშნული არ აღემატება საშუალო ზღვის დონიდან +56.38 მ-ს. ამის შესახებ არსებობს შეთანხმების წერილი შპს „ ბათუმის აეროპორტთან" (იხ.დანართი- მიმოწერა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან).

შპს „Smart Transportation Solutions" მიერ მომზადდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩის #88-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.32.09.877) - ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხ.დანართი.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ასევე სამშენებლო კომპლექსისათვის საგზაო მოძრაობის სქემები იხ. დანართი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი კოდექსი -ს მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ კონკრეტული პროექტისათვის სგშ-ს ჩატარება საჭირო არ არის იგი უფლებამოსილია სგშ-ს საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგშ.

წარმოგიდგენთ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები:

§ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში;

§ გდგ კონცეფციის დასაბუთება;

§ გდგ გრაფიკული ნაწილი;

§ მიმოწერა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან (მათ შორის თანხმობის წერილი შპს „ბათუმის აეროპორტთან");

§ გეოლოგიის ანგარიში

§ შპს „Smart Transportation Solutions" მიერ მომზადებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩის #88-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.32.09.877) - ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასების ანგარიში;

§ საგზაო მოძრაობის სქემა;

§ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია GPS კოორდინატების მითითებით (shp ფაილთან ერთად)

სკრინინგის დოკუმენტი, თანმხლებ დანართებთან ერთად იხილეთ ბმულზე - https://drive.google.com/drive/u/1/folders/1i-vBE7BrHR4w6MOwCBY_JAi1PUuNdRk.

დანართები მატერიალური სახით მოგეწოდებათ .

6010, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 0 (422) 27 26 27, 0 (422) 27 26 28

მამუკა რამიშვილი

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი